

4(044)

6-34

საქართველოს რესპუბლიკის განათლების სამინისტრო
თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის
სახელმწიფო უნივერსიტეტი

სელნაწერის უფლებით

ავთანდილ გივის ძე ნანაშა

მომავალი ავტობიოგრაფიის
ინფორმაციული კულტურის უმჯობესება

სპეციალობა: 13. 00. 02—სწავლების მეთოდთა

ს ა დ ი ს ე რ ტ ა ც ი ა მ ა ც ნ ე

პედაგოგიკის მეცნიერებათა კანდიდატის
სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად (13. 00. 02.)

თბილისი 1993

სადისერტაციო ნაშრომი შესრულდა აკ. ნერეთლის
სახელობის ქუთაისის სახელმწიფო უნივერსიტეტში

მეცნიერ ხელმძღვანელი:

პედაგოგიურ მეცნიერებათა დოქტორი, საქართველოს
რესპუბლიკის უმაღლესი სკოლის დამსახურებული
მუშაკი, პროფ. ვ. ნ. ქელბაქიანი

ოფიციალური ოპონენტები:

პედაგოგიკის მეცნიერებათა დოქტორი,
პროფესორი ნ. ი. გელაშვილი
ტექნიკურ მეცნიერებათა კანდიდატი,
პროფესორი გ. გვარამია.

დისერტაციის დაცვა შედგება 28.12.93 წ.
12⁰⁰ საათზე ივანე ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამეცნიერო-
საატესტაციო საბჭოს PE 13.00 CN 13-1 სხდომაზე.
(თბილისი, 380028. ილია ჭავჭავაძის გამზირი № 3)

დისერტაციის გაცნობა შეიძლება ივანე
ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო
უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში.

მაცნე დაგზავნილია 27.11.93 წ.

სამეცნიერო-საატესტაციო საბჭოს სწავლული
მდივანი, პედაგოგიურ მეცნიერებათა კანდიდატი,
პროფესორი

ჩ. ჭიჭიკი

ჯ. ბერიშვილი.

შრომის ზოგადი აღსასრული

პრობლემის აქტუალობა. თანამედროვე საზოგადოების განვითარება
შრომის არსის ღრმა ხარისხობრივი გარდაქმნების პირობებში, სასაზოგადოებო
მეურნეობის ყველა დარგის მექანიზაციის, ავტომატიზაციის, კომპიუტერიზაციისა
და რობოტიზაციის საფუძველზე მიმდინარეობს. ამასთან იზრდება მოთხოვნები
ადამიანთა ზოგადსაგანმანათლებლო და პროფესიული მომზადებისადმი. დღის
წესრიგში დგას უწყვეტი განათლების ერთიანი სისტემის შექმნის ამოცანა.

ამ ამოცანის გადაწყვეტა თავის თავში შეიცავს სასწავლო პროცესის
შესაბამისი ფსიქოლოგიურ-პედაგოგიური, მეთოდოლოგიური და მეთოდური
უზრუნველყოფის შემუშავების მეცნიერული და პრაქტიკული გზების მოძიებას
კომპლექსურ და როგორც შედეგი—უწყვეტი განათლების სისტემის საბაზო
რგოლის—ზოგადსაგანმანათლებლო და პროფესიული სკოლის რეფორმის
განხორციელებას, რომელიც ადამიანს უწყვეტ ნარმოადგენს თანამედროვე
მსოფლიოს სამეცნიერო პოტენციალზე, აძლევს ფუნდამენტური მეცნიერული
დისციპლინების საფუძვლების ცოდნას, გამოუმუშავებს ამოცანების ამოხსნის
თანამედროვე მეთოდების გამოყენებისა და ახალი ტექნოლოგიების ათვისების
პრაქტიკულ უნარ-ჩვევებს.

ერთ-ერთ ფუნდამენტალურ მეცნიერებას, რომელსაც საზოგადოების
განვითარებაში გარკვეული წვლილი შეაქვს, მათ შორის ამ პედაგოგიური
ამოცანების გადაწყვეტაშიც, წარმოადგენს ინფორმატიკა—მეცნიერება, რომელიც
შეისწავლის ინფორმაციის გადამუშავებისა და დაგროვების მეთოდებსა და
კანონებს.

ინფორმატიკის შესწავლა ხელს უწყობს ადამიანში გარემომცველი
სამყაროს შესახებ არსებული მრავალმხრივი ინფორმაციის გამოყენების
უნარ-ჩვევების განვითარებას, რაც თანამედროვე საზოგადოებაში პიროვნების
უმნიშვნელოვანეს თვისებას წარმოადგენს.

ადამიანში ამ თვისების ფორმირება განპირობებულია: საზოგადოებაში
ინფორმაციის ფუნქციონირების ობიექტური კანონების ცოდნით, ინფორმაციის
დაგროვების, შენახვის, ძიებისა და გადამუშავების თანამედროვე მეთოდების
გამოყენების შესაძლებლობით, რომელიც ემყარება ახალი ინფორმაციული
ტექნოლოგიების (აიტ) გამოყენებას.

საზოგადოებაში მიმდინარე ინფორმაციული პროცესები მრავალ ადამიანთა
ინტერესების სფეროს წარმოადგენენ. „ოუნესკო“-ს მონაცემებით დღესდღეობით
„შედარებით განვითარებული კაპიტალისტური სახელმწიფოების დასაქმებულ
მოსახლეობის ნახევარზე მეტი პირდაპირ ან არაპირდაპირ მონაწილეობს
ინფორმაციის წარმოებისა და გავრცელების პროცესში“.

17471